


 Mycredo

განახლებული ინტერნეტ ბანკი

განახლებული ინტერნეტ ბანკით შესაძლებელია სახის ამომცნობი ფუნქციონალის მეშვეობით მომხმარებლის დისტანციური რეგისტრაცია, ამას გარდა თქვენ შეძლებთ:



- ისარგებლოთ ინტერნეტ ბანკით ქართულ (მეგრულ, სვანურ), ინგლისურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე
- თქვენი კომუნალური გადახდების შაბლონები ავტომატურად დასინქრონდება მობილური ბანკიდან
- გადარიცხოთ თანხა სხვა ბანკში ანგარიშის ნომრით
- შეგიძლიათ მარტივად გადარიცხოთ თანხა კრედიტ ბანკის მომხმარებელთან ანგარიშის, პირადი ან მობილური ნომრით
- მარტივად ჩამოტვირთოთ ამონაწერი
- მარტივად დააბრუნოთ თანხა, ან გაიმეოროთ გადარიცხვა
- გაანაღდოთ გზავნილი ონლაინ
- მოითხოვოთ სესხი ონლაინ
- ნახოთ ანაბრის, სესხის, განვადების, საკრედიტო თუ საგანვადებო ბარათის დეტალები
- მოითხოვოთ სტანდარტული ან ემიგრანტის ბარათი
- გახსნათ ანაბარი (ვადიანი ანაბარი სარგებლის ვადის ბოლოს გატანით, ვადიანი ანაბარი სარგებლო ყოველთვიური გატანით, ზრდადი ვადიანი ანაბარი)
- განახლებულ ინტერნეტ ბანკში შეგიძლიათ ნახოთ თქვენი პრომო კოდი
- განახორციელოთ სახაზინო გადარიცხვა



რეგისტრაციისთვის:

1. მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი და დაბადების თარიღი
2. მონიშნეთ ველი ვეთანხმები წესებს და პირობებს
3. უპასუხეთ კითხვებს ამერიკის მოქალაქეობის შესახებ
4. მიუთითეთ ტელეფონის ნომერი
5. შეიყვანეთ მიღებული ოთხნიშნა კოდი
6. მოემზადეთ და გადაიღეთ სურათი
7. ატვირთეთ თქვენი ID ბარათი ან პასპორტი იდენტიფიკაციისთვის
8. უპასუხეთ რამდენიმე მარტივ შეკითხვას
9. შექმენით თქვენი ინტერნეტბანკის სახელი/Username და პაროლი



სისტემაში შესვლა

მომხმარებელი

|

პაროლი


მონაცემთა აღდგენა

შესვლა

რეგისტრაცია



მთავარი გვერდი




მთავარ გვერდზე ხედავთ ინფორმაციას თქვენი ფულის შესახებ, თქვენს ბოლო ტრანზაქციებს, კონტაქტების შაბლონს, გადახდების შაბლონებს და შეთავაზებებს.


ფულადი ოპერაციების გვერდი

ამ გვერდზე თქვენ შეძლებთ:

- ✓ გადარიცხოთ თანხა კრედიტ ბანკის მომხმარებლებთან ან სხვა ბანკში
- ✓ კრედიტ ბანკის ანგარიშზე გადარიცხვისას შეძლებთ მიუთითოთ მიმღების ანგარიში, პირადი ნომერი ან ტელეფონის ნომერი.
- ✓ შეავსოთ მობილური ბალანსი
- ✓ გადაიხადოთ კომუნალურები ან სხვა გადახდები
- ✓ დააშაბლონოთ კომუნალურები, რომ მომავალში მარტივად ნახოთ თქვენი დავალიანება და გადაიხადოთ მხოლოდ ერთი კლიკით.
- ✓ განახორციელოთ სახაზინო გადახდები
- ✓ გაანადგოთ გზავნილი ონლაინ და ისარგებლოთ საუკეთესო კურსით.
- ✓ ინტერნეტ ბანკით გაანადგებთ **Western Union, Moneygram, Золотая Корона, Ria, IntelExpress, Unistream, Contact, Sprint** გზავნილებს.



პროდუქტების გვერდი




პროდუქტების გვერდზე ასახულია ინფორმაცია თქვენი ანგარიშების და ბარათების, ანაბრების, სესხების, განვადების, ასევე საკრედიტო და საგანვადებო ბარათების შესახებ.

განახლებული ინტერნეტ ბანკიდან შეგიძლიათ მოითხოვოთ სტანდარტული ან ემიგრანტის ბარათი, ანაბარი, სწრაფი, სტუდენტური და ავტო სესხი

ასევე შესაძლებელია ანგარიშის გახსნა ან ვალუტის დამატება არსებულ ანგარიშზე

ტრანზაქციების გვერდი




მოძებნეთ ტრანზაქციები და ჩამოტვირთეთ ამონაწერი ტრანზაქციების გვერდზე.

ამონაწერის ჩამოსატვირთად:


მონიშნეთ ფილტრში სასურველი ანგარიში და ამონაწერის ვადები. ფილტრში ერთზე მეტი ანგარიშის, საძიებო სიტყვის ან ტრანზაქციის ტიპის მონიშვნის შემთხვევაში ამონაწერის ამოღებას ვერ შეძლებთ. მონაცემების სწორად გაფილტრვის შემდეგ ჩამოტვირთეთ სასურველი ამონაწერი.

გვერდი მეტი



მეტზე დაწკაპუნებისას შეგიძლიათ ნახოთ თქვენ მიერ შევსებული განაცხადების გვერდი და განახორციელოთ კრედიტ ბანკის პროდუქტების მოთხოვნა ონლაინ.

პარამეტრები



პარამეტრებში შეგიძლიათ შეცვალოთ:

- პაროლი და სურათი
- მართოთ ანგარიშები: გამოაჩინოთ ან დამალოთ მთავარ გვერდზე სასურველი ანგარიში
- ნახოთ თქვენი პრომო კოდი
- შეცვალოთ ინტერნეტ ბანკის ენა

**ისარგებლეთ, კრედიტ ბანკის ახალი ინტერნეტ ბანკით
და გაიმარტივეთ თქვენი ყოველდღიური**

კითხვების ან სხვა ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში,
გთხოვთ დაუკავშირდეთ (24/7) სატელეფონო ცენტრს, ნომერზე *4242